

შპს გორის დილა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი).....	5
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	8
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები.....	14

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „გორის დილა“-ს მენეჯმენტს
გურამიშვილის ქ., №5
ქ. გორი, საქართველო

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გორის დილა“-ს (შემდგომში „კლუბი“) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აზრით განხილული საკითხებისა, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საგადასახადო აქტივი - კლუბის სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია საგადასახადო აქტივი 1,128 ლარის ოდენობით. აღნიშნულ თანხასა და შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ პორტალზე, კლუბის პირად ბარათზე არსებული საგადასახადო დავალიანებას შორის გამოვლინდა სხვაობა 60,270 ლარი. (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივი 37,329 ლარი, დავალიანება საგადასახადო პირადი ბარათის მიხედვით 43,512 ლარი, სხვაობა 80,841 ლარი). ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები და შესაბამისი ახსნა-განმარტებები კლუბისგან აღნიშნულ სხვაობასთან მიმართებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ამ მუხლთან მიმართებაში.

ფეხბურთელთა ტრანსფერთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება - კლუბის სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფეხბურთელთა ტრანსფერთან დაკავშირებულ დებიტორული დავალიანების მთლიანი თანხიდან (415,199 ლარი) 200,000 ლარზე ვერ მოვიპოვეთ დასტურის წერილები. ვინაიდან არ არსებობს აღნიშნული მოთხოვნის დადასტურების ალტერნატიული შესაძლებლობა ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება და შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა კლუბის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებში.

უიმედო მოთხოვნის ხარჯი - კლუბის სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგების მუხლში - „სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი“ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ჩამოწერილი უიმედო მოთხოვნები 118,099 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები და შესაბამისი ახსნა განმარტებები კლუბისგან აღნიშნული მოთხოვნების მიმდინარე პერიოდში ჩამოწერასთან მიმართებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ამ თანხის პერიოდიზაციასთან მიმართებით.

არამატერიალური აქტივი - **ფეხბურთელთა** - კლუბმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებულ მუდმივი ტრანსფერი (68,009 ლარი) ასახა საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში ხარჯის სახით და არ მოუხდენია კაპიტალიზაცია არამატერიალური აქტივის სახით, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიზენცირების დებულების მიხედვით. შედეგად, კლუბს საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი გადაჭარბებული ღირებულებით აქვს წარმოდგენილი, ხოლო სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივები შემცირებული ღირებულებით.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

პირობითი მოსაზრების საფუძველი (გაგრძელება)

შემოსავალი ტრანსფერებიდან - კლუბმა 2021 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში - „სხვა საოპერაციო შემოსავლები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი“ შემოსავლად აღიარა 2020 წლის 1 ივლისის სატრანსფერო გარიგების თანხის ნაწილი 36,929 ლარი (აღნიშნული თანხის 2021 წელს ჩარიცხვის გამო). გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენს 2020 წლის შემოსავალს, კლუბის 2021 მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავლები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი გაზრდილია 36,929 ლარით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კლუბისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და შეზღუდვა დასკვნის გავრცელებასა და გამოყენებაზე

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისათვის. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებულ იქნას სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კლუბის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კლუბის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კლუბის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კლუბის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კლუბის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვეკლება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კლუბი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სათანადო წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

9 მარტი, 2023 წელი

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



ლიცენზიის მფლობელი:

შპს "გორის დილა"

საგადასახადო უწყისი	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	325,224	339,760
ფინანსურ მოვალეობებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	415,199	-
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	-	-
სხვა დებიტორული დავალიანება	2,914	7,728
საგადასახადო აქტივები	1,128	37,329
მატერიალური მარაგები	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	10,833
მთლიანი მიმდინარე აქტივები	744,465	395,650
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	66,358	111,118
არამატერიალური აქტივები - ფინანსურ მოვალეობებთან	-	-
არამატერიალური აქტივები - სხვა	-	-
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	-	-
საგადასახადო აქტივები	-	-
ინვესტიციები	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	66,358	111,118
მთლიანი აქტივები	810,823	506,768
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები	-	-
ბანკის და სხვა სესხები	-	-
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	117,807	-
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	-	-
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	41,333	-
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	-
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	-	-
მოკლევადიანი ანარიცხები	-	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	66,145	163,508
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	225,285	163,508
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები	-	-
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	-
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები	-	-
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	-	-
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	-
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი ანარიცხები	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	225,285	163,508
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	585,538	343,260



კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი



ლიცენზიის მადიებელი:

შპს "გორის დილა"

საბალანსო უწყისი	31.12.2022	31.12.2021
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	4,497,697	4,196,297
გადაფასებული რეზერვი	-	-
გაუნაწილებელი მოგება	(3,912,159)	(3,853,037)
სხვა რეზერვები	-	-
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	585,538	343,260
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	810,823	506,768
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	343,260	502,148
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	(59,124)	(1,069,520)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში	301,400	910,632
ცვლილება გადაფასების რეზერვში	-	-
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში	-	-
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	585,538	343,260
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის განმავლობაში განეული დანახარჯი	-	-
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	-	-
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	-	-
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	-	-
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	-	-
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის ბოლოს	-	-
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
საანგარიშო უწყისი გამოცემად

[თარიღი]-თვის:

9-Mar-23

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: დავით კოზიაშვილი

თარიღი:

9-Mar-23



შპს „გორის დილა“

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



ლიცენზიის მადიებელი:

შპს "გორის დილა"

მოგება-ზარალის უწყისი	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები	-	4,165
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები	-	4,479
ამონაგები ბილეთებიდან - აზონემენტები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - სანეგროები	-	-
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	8,644
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი	-	-
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე	-	-
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	280,684	-
სულ სპონსორობა და რეკლამა	280,684	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები	-	-
კომერციული - საქონლის გაყიდვა	-	-
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში	-	-
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი	-	-
სულ კომერციული	-	-
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები	767,577	951,964
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი	-	-
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	243,760	-
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	1,011,337	951,964
გრანტები/სუბსიდიები, შემონირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხურით ორგანოებიდან	-	-
გრანტები/სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	2,064,800	2,188,800
შემონირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან	-	-
შენატანები/შემონირულობები დაკავშირებული მხარეებისგან	-	-
შემოსავალი არასაფეხურთო საქმიანობებიდან	-	-
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი	-	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი	1,296,195	36,929
სულ სხვა შემოსავალი	3,360,995	2,225,729
სულ შემოსავალი	4,653,016	3,186,337
რელიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
სულ ხარჯები რელიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(2,002,824)	(1,875,182)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	-	-
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	-	-
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(2,002,824)	(1,875,182)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(1,077,977)	(780,124)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	-	-
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	-	-
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(1,077,977)	(780,124)
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი	-	-
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(3,080,801)	(2,655,306)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(25,364)	(49,951)



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მომავალ-ზარალის უწყისი



ლიცენზიის მფლობელი:

შპს "გორის დილა"

მომავალ-ზარალის უწყისი	31.12.2022	31.12.2021
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)	-	-
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება	-	-
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	(25,364)	(49,951)
მატჩის დღის ხარჯები	(3,900)	(9,024)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები	-	-
კომერციული აქტივობების ხარჯები	-	-
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	-	-
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები	-	-
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(1,557,272)	(1,511,342)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,561,172)	(1,520,366)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(4,667,337)	(4,225,623)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	-	-
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან	-	-
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	-	-
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვებიდან/გასვლიდან	-	2,220
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვებიდან/გასვლიდან	-	-
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან/გასვლიდან	-	2,220
ფინანსური შემოსავალი	-	-
ფინანსური ხარჯი	-	(12,996)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	-	(12,996)
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)	128,749	22,362
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)	(169,676)	(20,198)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	(40,927)	2,164
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)	(3,876)	(21,622)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	(59,124)	(1,069,520)
დივიდენდები	-	-
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	(59,124)	(1,069,520)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცინირებულია გამოსაცემად

[თარიღი]-თვის:

9-Mar-23

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი: დავით კოზიშვილი

თარიღი:

9-Mar-23



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი



ლიცენზიის მფლობელი:

შპს "გორის დილა"

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	31.12.2022	31.12.2021
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან	(769,388)	(818,058)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიზიკური პირების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	584,046	160,025
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(124,995)	(77,162)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	(5,599)	(18,797)
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	453,452	64,066
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	-	16,314
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	-	(300,000)
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	-	493,500
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	-	(493,500)
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები	301,400	1,243,387
(გადახდილი) ფულადი სახსრები მენილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	301,400	959,701
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)	-	-
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში	(14,536)	205,709
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია		
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი	339,760	134,051
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	(14,536)	205,709
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	325,224	339,760
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	325,224	339,760

ფინანსური ანგარიშგებო დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცონირებულია
გამოსაცემად

[თარიღი]-თვის:

9-Mar-23

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და გინაობა):

დირექტორი: დავით კუჭიაშვილი

თარიღი:

9-Mar-23



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**შენიშვნა 1: კლუბის შესახებ**

შპს „გორის დილა“ დაფუძნდა 2016 წლის 8 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კლუბის 100 %-იანი წილის მესაკუთრე არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტარ სპორტ ინვესტ“

კლუბის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირს საჯარო რეესტრის მონაცემებით წარმოადგენს დავით კოზიაშვილი.

კლუბი რეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. გორი, გურამიშვილის ქ., №5

შპს „გორის დილა“-ს ძირითადი მიზანია მონაწილეობის მიღება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ფეხბურთის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა. კლუბი ძირითადად დაფინანსებას იღებს საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ) სახელმწიფო პროგრამიდან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“-ს მეშვეობით.

კლუბმა 2021 წლის საქართველოს ეროვნულ ლიგაში დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი და შესაბამისად მოიპოვა UEFA-ს ევროპის თასის საგზური.

შპს „გორის დილა“-ს პროფესიონალური გუნდის გარდა, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ეროვნულ ლიგაში (რანგით პირველ ლიგაში), ასევე ჰყავს ახალგაზრდული გუნდი.

შენიშვნა 2: საადრიცხო პოლიტიკა

- მომზადების საფუძველი**

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს-ის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

- ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

კლუბის საოპერაციო და საადრიცხო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

- უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2022 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2022	დეკემბერი 31, 2021
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.8844	3.0976
ლარი / 1 ევრო	2.7020	3.5040

- ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

• ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია - ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მოსამსხურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მოსამსხურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი**სასარგებლო
მოსამსხურების ვადა**

სატრანსპორტო საშუალებები

5-8 წელი

ოფისის აღჭურვილობა და სხვა მოწყობილობა

3-10 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი

3 წელი

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე შედეგის განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების გაწევის მომენტში.

• შემოსავალი და დარიცხვები

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან, შემოსავალი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან, UEFA-სგან მისაღები თანხები და სხვა შემოსავლები.

სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან, შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებიდან და უფასო სოლიდარობის და საპრიზო თანხა - აღიარდება საკასო მეთოდით, ხოლო სხვა ყველა შემოსავალი და ამონაგები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

სხვა შემოსავალი - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყანას, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალური ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2023 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმი N31-ის მიხედვით, წარმოდგენილ იქნა 2023 წლის პროგრამული დაფინანსების ბიუჯეტი დაფინანსების ძირითადი მიმართულებებისა და მოცულობის მიხედვით, რომლის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ძირითადი საკითხები:

- კლუბების საბაზისო დაფინანსების განსაზღვრა;
- კლუბების პრემიალური და საპრიზო თანხების განსაზღვრა;
- კლუბების ფინანსური სტიმულირების განსაზღვრა;

კლუბების საბაზისო დაფინანსება წარმოდგენილია შემდეგი სახით, ჯამში 16,520,000 ლარის ოდენობით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - საბაზისო - 600,000 ლარი (თითოეულ გუნდს);

ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - საბაზისო - 400,000 ლარი (თითოეულ გუნდს);

ეროვნული ლიგა 3 (16 გუნდი) - საბაზისო - 200,000 ლარი (თითოეულ გუნდს);

ეროვნული ლიგა 4 (16 გუნდი) - საბაზისო - 120,000 ლარი (თითოეულ გუნდს);

რეგიონალური ლიგა (28 გუნდი) - საბაზისო - 50,000 ლარი (თითოეულ გუნდს).

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

კლუბების პრემიალური და საპრიზო თანხები განისაზღვრა შემდეგნაირად, ჯამში 6,019,400 ლარის ოდენობით:

- ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - მოგებული თითოეული მატჩისთვის გუნდზე 20,000 ლარი, ფრეს შემთხვევაში გუნდზე 6,500 ლარი;
- ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - მოგებული თითოეული მატჩისთვის გუნდზე 20,000 ლარი, ფრეს შემთხვევაში გუნდზე 6,500 ლარი;
- საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასზე მერვედფინალიდან ფინალამდე ყოველი ეტაპის გადალახვისთვის 10,000 ლარი.

2023 წლის დეკემბრის თვეში ცნობილი იქნება, რა თანხა იქნება საპრემიო ფონდისთვის საჭირო, რომლის შედეგადაც შესაძლებელია, განისაზღვროს საპრიზო ფონდის ბიუჯეტი (ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისთვის საპრიზო თანხა და დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გამარჯვებულისთვის საპრიზო თანხა):

- ჩემპიონი - 50%
- II ადგილი - 30%
- III ადგილი - 10 %
- თასის მფლობელი - 10 %

კლუბების ფინანსური სტიმულირების თანხა განისაზღვრა შემდეგნაირად, ჯამში 11,500,000 ლარის ოდენობით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - არაუმეტეს - 600,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
 ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - არაუმეტეს - 400,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
 ეროვნული ლიგა 3 (10 გუნდი I-X- ადგილი) - არაუმეტეს - 100,000 ლარი (თითოეულ გუნდს);
 ეროვნული ლიგა 4 (10 გუნდი I-X- ადგილი) - არაუმეტეს 50,000 ლარი (თითოეულ გუნდს).

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	321,117	339,760
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	4,107	-
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	325,224	339,760

შენიშვნა 5. ფეხბურთელთა ტრანსფერთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება

კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული მოთამაშეთა ტრანსფერთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება 415,199 ლარი მოიცავს 2022 წლის 8 იანვარს განხორციელებული ფეხბურთელის ტრანსფერის თანხას 79,444 აშშ დოლარს, რომლის საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 215,199 ლარს და 2022 წლის 19 ივლისს განხორციელებული ფეხბურთელის ტრანსფერის თანხას 200,000 ლარს.

შენიშვნა 6. სხვა მიმდინარე აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანება

სხვა მიმდინარე აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სხვა დებიტორული დავალიანება	2,914	7,728
სხვა მიმდინარე აქტივები	-	10,833
სულ მიმდინარე მოთხოვნები	2,914	18,561

შენიშვნა 7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა და სხვა მოწყობილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	124,445	142,991	37,064	304,500
შემოსვლა	43,828	11,905	-	55,733
გასვლა	(17,605)	-	-	(17,605)
2021 წლის 31 დეკემბერი	150,668	154,896	37,064	342,628
შემოსვლა	-	4,492	-	4,492
ჩამოწერა	(83,283)	-	-	(83,283)
2022 წლის 31 დეკემბერი	67,385	159,388	37,064	263,837
ცვეთა				
2020 წლის 31 დეკემბერი	(69,398)	(89,733)	(22,427)	(181,558)
პერიოდის ცვეთა	(21,795)	(16,653)	(11,504)	(49,952)
2021 წლის 31 დეკემბერი	(91,193)	(106,386)	(33,931)	(231,510)
პერიოდის ცვეთა	(13,038)	(9,707)	(2,619)	(25,364)
ჩამოწერა	59,396	-	-	59,396
2022 წლის 31 დეკემბერი	(44,835)	(116,093)	(36,550)	(197,478)
საბალანსო ღირებულება				
2020 წლის 31 დეკემბერი	55,047	53,258	14,637	122,942
2021 წლის 31 დეკემბერი	59,475	48,510	3,133	111,118
2022 წლის 31 დეკემბერი	22,549	43,295	514	66,358

შენიშვნა 8. მოთამაშეთა ტრანსფერთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება

კლუბის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება არის 2022 წელს განხორციელებული ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით გადასახდელი თანხა 43,600 აშშ დოლარი, რომლის საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 117,807 ლარს.

შენიშვნა 9. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

სხვა მიმდინარე ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	66,145	24,098
მოკლევადიანი სესხი	-	16,314
მიღებული ავანსი	-	123,096
სულ მიმდინარე ვალდებულებები	66,145	163,508

შენიშვნა 10. სააქციო/საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 4,497,697 ლარს. (2021 წლის 31 დეკემბერი: 4,196,297 ლარი). 2022 წელს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 301,400 ლარით, რომელიც შეტანილ იქნა კლუბის კაპიტალში ფულადი სახით.

შენიშვნა 11. სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი.

2022 წელს სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი შედგება სპონსორისგან მიღებული თანხებისგან 280,684 ლარი. (2021 წელს 0 ლარი)

შენიშვნა 12. უფასო საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები

2022 წლის 31 დეკემბრისათვის სულ უფასო სოლიდარობის და საპრიზო თანხები შედგება უფასო კონფერენს ლიგაში მონაწილეობის საპრიზო და უფასო საკლუბო შეჯიბრებების ტრანსლაციის უფლების რეალიზაციის თანხებისგან.

შენიშვნა 13. უფასო სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

2022 წელს უფასო სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი, მოიცავს “უფა“-დან მიღებულ თანხებს, ჯამში - 243,760 ლარი. (2021 წელს 0 ლარი)

შენიშვნა 14. სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან

სუბსიდიები, გრანტები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისაგან მოიცავს ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ თანხებს ეროვნულ ვალუტაში.

შენიშვნა 15. სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი მოიცავს ტრანსფერიდან მიღებულ შემოსავლებს 961,565 ლარს, ფეხბურთელის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალს 143,367 ლარს და ფეხბურთელის წვრთნისა და აღზრდის საკომპენსაციო თანხას 191,263 ლარს. (2021 წელს 36,929 ლარი)

შენიშვნა 16. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელების ხელფასის ხარჯები მოიცავს ფეხბურთელების ხელფასს და პრემიას.

შენიშვნა 17. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლების ხელფასებში და ანაზღაურება მოიცავს ფეხბურთელების გარდა სხვა თანამშრომლების ხელფასის ხარჯებს.

შენიშვნა 18. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი 2022 და 2021 წლებისათვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	2022	2021
ტრანსფერთან დაკავშირებული საკომისიო ხარჯი	346,925	192,697
ავიაბილეთების მომსახურების თანხა	199,512	-
მივლინების ხარჯები	158,007	449,024
საკონსულტაციო ხარჯი	103,044	26,575
იჯარის ხარჯი	102,088	87,707
კვების ხარჯი	90,358	89,324
საწევრო ხარჯი	70,870	82,957
სამწვრთნელო შეკრების ხარჯები	69,707	-
სპორტული ტანსაცმლით ეკიპირების ხარჯი	63,158	25,979
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	55,421	32,176
გაუფასურებული აქტივების ჩამოწერა	38,366	118,099
საპენსიო ანარიცხების ხარჯი	33,344	32,060
კომუნალური ხარჯი	29,145	17,476
დაცვის ხარჯი	25,138	16,144
საწვავის ხარჯი	24,130	28,402
სამედიცინო მომსახურების ხარჯი	17,298	63,930
დაზღვევის ხარჯი	12,554	5,824
კომუნიკაციის ხარჯები	9,468	9,425
ჯარიმის ხარჯი	8,700	30,750
ბანკის საკომისიო	7,039	3,830
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	6,300	52,053
სხვა ხარჯი	86,700	146,910
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი	1,557,272	1,511,342

შენიშვნა 19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**• სასამართლო დავები**

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის კლუბს არ აქვს მიმდინარე სასამართლო დავები, თუმცა ჩართულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველ კომიტეტში მიმდინარე დავებში, რომლებიც ეხება შპს „გორის დილა“-ს მოთხოვნებს:

- **შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის მიმართ.** მოთხოვნა წარმოიშვა 2022 წლის 8 იანვარს განხორციელებული სატრანსფერო ხელშეკრულების საფუძველზე. კლუბი მოითხოვს შპს საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისისაგან 215,199 ლარის ანაზღაურებას. ასევე კლუბი დამატებით მოითხოვს 100,000 ლარის ანაზღაურებას რეპუტაციული ზიანისთვის; და
- **შპს დინამო ბათუმის მიმართ.** აღნიშნული მოთხოვნა წარმოიშვა 2022 წლის 19 ივლისის სატრანსფერო ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო 2022 წლის 15 ოქტომბრამდე, რაც არ იქნა შესრულებული შპს დინამო ბათუმის მიერ და დაეკისრა პირგასამტეხლო 100,000 ლარის ოდენობით. კლუბი სადისციპლინო და დავების განმხილველ კომიტეტში შპს დინამო ბათუმისაგან მოითხოვს ჯამში 200,000 ლარს.

შენიშვნა 20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილებშია წარმოდგენილი:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის ტიპი	2022	2021
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	ხელფასის და პრემიის ხარჯი	275,666	273,470
დაკავშირებული მხარე	ნაშთის ტიპი	31 - დეკ - 2022	31- დეკ - 2021
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	სახელფასო დავალიანება	9,576	-

შენიშვნა 21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ქართული ფეხბურთის განვითარების ქვეპროგრამის მიხედვით ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბები საქართველოში 2023 წელს ეროვნულ ლიგა 1-ში ასპარეზობის შემთხვევაში დაფინანსდებიან საბაზისო დაფინანსებით - 600,000 ლარი, ხოლო, ეროვნულ ლიგა 2-ში ასპარეზობის შემთხვევაში, საბაზისო დაფინანსებით - 400,000 ლარი. კლუბების პრემიალური, საპრიზო და სტიმულირების თანხების შესახებ დეტალური განმარტება იხილეთ შენიშვნა 3-ში გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო.

კლუბმა 2023 წლის 7 თებერვალს ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიიღო 200,000 ლარი, ხოლო 2023 წლის 14 თებერვალს ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან UEFA-ს ჭაბუკთა ლიგის განვითარებისთვის მიიღო 118,444 ლარი.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს "გორის დილა"

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი	31.12.2022	31.12.2021	კომენტარი
ხარჯები			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	72,875	88,688	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)	1,102		
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)	150,778	88,688	
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი, სასტუმროები და სხვ.)			
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინოთერაპია)			
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი	1,000		
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი	11,370	15,067	
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)			
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	237,125	192,444	
შემოსავლები			
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, სანეწროები და ა.შ.)			
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის	243,760		
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის		46,500	
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!			
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებული მთლიანი შემოსავალი	243,760	46,500	
წმინდა შედეგი	6,635	(145,944)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: დირექტორი: დავით კოზიაშვილი

თარიღი: 09.03.2023

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: შპს "მოორ ეიზისი"

უფლებამოსილი წარმომადგენელი: მიხეილ აბაიძე

თარიღი: 09.03.2023



- დოკუმენტის დასასრული -